პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 80 (3057) 24 აპრილი, კვირა. 1966 წ. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

## არავის სურდა წაგება

### ზ. საკანდელიძის 12 ქულა

სანტ-იაგო, 23 აპრილი. ჩილის კალათბურთის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირის ფინალის პირველ მატჩში საბჭოთა სპორტსმენებმა სძლიეს მანამდე წაუგებელ იუგოსლავიელებს—53:49 (20:24). თუ პირველ ტაიმში იუგოსლავიელებს გარკვეული უპირატესობა ჰქონდათ, შესვენების შემდეგ საბჭოთა სპორტსმენებმა ხელთ იგდეს თამაშის სადავეები. მეორე ტაიმში ანგარიში 13-ჯერ იყო თანაბარი. საფინალო სასტვენამდე ორნახევარი წუთით ადრე ტომპსონმა წინ გაიყვანა საბჭოთა გუნდი — 48:46. ბოლო წუთებზე ჩვენმა კალათბურთელებმა 5 საჯარიმო ჩააგდეს. საბჭოთა სპორტსმენთაგან ყველაზე შედეგიანი იყო ზ. საკანდელიძე — 12 ქულა.

დიდი შეუპოვრობით ხასიათდებოდა სხვა მატჩებიც. დამთავრებამდე 3 წამით ადრე ბრაზილიელმა დე სოუზამ თითქმის მოედნის შუა ნაწილიდან ზუსტად მოათავსა ბურთი ესპანელთა კალათში და თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა — 68:66.

თითქოს უნდა წაეგოთ ამერიკელებს (პირველი ტაიმი ბულგარელებმა მოიგეს — 40:30), მაგრამ საბოლოოდ გაიმარჯვეს — 79:69.

საბჭოთა და ამერიკელი კალათბურთელები დაუმარცხებლად განაგრძობენ ასპარეზობას.

## ფავორიტები დამარცხდნენ

**გლაზგოს** „ჰემპდენ-პარკის" სტადიონზე 126 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო შოტლანდიის თასის გათამაშების ფინალურ მატჩს: ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები — „სელტიკი" და „გლაზგო რეინჯერსი".

მიუხედავად ორივე კარიან შექმნილი ბევრი სახიფათო მომენტისა, ანგარიში არ გახსნილა — 0:0.

ოთხშაბათს გუნდები კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს.

**თითქმის** არც ერთი ინგლისელი კომენტატორი არ ეჭვობდა, რომ ინგლისის თასის გათამაშების ფინალში „მანჩესტერ იუნაიტედი" და ლონდონის „ჩელსი" გავიდოდნენ. მაგრამ ასე არ მოხდა. ნეიტრალურ მინდვრებზე გამართულ ნახევარფინალურ მატჩებში „მანჩესტერ იუნაიტედმა" წააგო „ევერტონთან" — 0:1 (78-ე წუთზე გოლი გაიტანა ჰარვიმ), ხოლო „ჩელსი" დამარცხდა „შეფილდ უენსდეისთან" — 0.2.

14 მაისს ლონდონის უემბლის სტადიონზე თასის ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან „შეფილდ უენსდეი" და „ევერტონი" (ლივერპული).

(საქ. ინფ.).

## გუშინ...

**თბილისის** სპორტის სასახლეში დაიწყო ახალგაზრდობის სპორტული სკოლების საკავშირო ზონალური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. ტურნირში მონაწილეობენ კრასნოდარის, ქუთაისის, ბაქოსა და ერევნის გუნდები, აგრეთვე თბილისის 2 კოლექტივი. მოგვყავს პირველი დღის ტექნიკური შედეგები: თბილისი II — კრასნოდარი 6:2, თბილისი I — ქუთაისი 7,5:0,5, თბილისი I — თბილისი II 6,5:1,5, ერევანი—კრასნოდარი 5:3, ბაქო—ქუთაისი 5,5:2:5, თბილისი II — ერევანი 6:2. ერევნელებმა დაამარცხეს ბაქოელები. დანარჩენი შეხვედრები გვიან ღამით დამთავრდა.

*თბილისის* ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დაიწყო ოსტატების ა. ბუსლაევისა და რ. ჯინჯიხაშვილის მატჩი საქართველოს ჩემპიონის წოდებაზე (როგორც ცნობილია, ამ მოჭადრაკეებმა რესპუბლიკურ ჩემპიონატში I-II ადგილები გაიყვეს). მატჩში უნდა გათამაშდეს 6 პარტია.

I პარტიაში მეტოქეებმა ლაზიერის გამბიტი გაითამაშეს და რთული ბრძოლა გააჩაღეს. მაგრამ პარტია მოულოდნელად, 30-ე სვლაზე ყაიმით დასრულდა. ამის მიზეზი ცაიტნოტი იყო, რომელშიც რისკიან თამაშს მეტოქეებმა დაზავება არჩიეს.

## მოსკოველმა სტუდენტებმა მოუგეს ჩემპიონს

*ხარკოვი, 23 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).* დღეს გაიმართა წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები. აი, მათი შედეგები: მოსკოვის უნივერსიტეტი — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი (მოსკოვი) 4:3, „ბალტიკა" (ლენინგრადი) — „დინამო" (თბილისი) 6:5, „დინამო" (ლვოვი) — „დინამო" (მოსკოვი) 3:2, კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია (ბაქო) — „სპარტაკი" (ლენინგრადი) 7:4, „ტორპედო" (მოსკოვი) — „ტრუდი" (მოსკოვის ოლქი) 6:1, „დინამო" (კიევი) — „შრომითი რეზერვები" (მოსკოვი) 3:2.

სსრ კავშირის თასზე

## ფეხბურთი

## გუშინ...

**ზუგდიდში** ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ენგური" და ფოთის „კოლხიდა". თავდაპირველად ფოთელები აქტიურობდნენ, მაგრამ 35-ე წუთის შემდეგ ინიციატივას მასპინძლები დაეუფლნენ. და აი, ხარჩილავამ ზუგდიდელებს პირველი წარმატება მოუტანა — 1:0. 37-ე წუთზე აბრალავამ გაზარდა ანგარიში, ხოლო კიდევ 3 წუთის შემდეგ საფარიანმა კიდევ უფრო დააწინაურა „ენგური" — 3:0.

მეორე ტაიმში ფოთელებმა მძაფრად შეუტიეს მეტოქის კარს და 69-ე წუთზე სავრელმა შეძლო ერთი გოლის გაქვითვა — 1:3. ტაიმის ბოლოს ფოთელები დაჯარიმდნენ პენალტით, რომელიც კარგად გამოიყენა ჯოკუამ — 4·1.

ბ. ალშიბაია.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

**სოხუმში** ადგილობრივმა „დინამომ" მიიღო რუსთავის „მეტალურგი". მასპინძლებმა უპირატესობა მოიპოვეს უკვე.. მატჩის დაწყებამდე: მსაჯმა სათამაშოდ არ დაუშვა რუსთაველთა 2 მოთამაშე, რადგან ისინი განაცხადში არ იყვნენ. რა თქმა უნდა, რიცხობრივმა უპირატესობამ სოხუმელებს საშუალება მისცა მატჩი დიდი ანგარიშით მოეგოთ — 6:0. ბურთების ავტორები არიან ენიკი (3), ჭითანავა, სვირიდოვი (2).

შ. ჯალაღონია.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

**გურჯაანში** ადგილობრივი „ალაზნისა" და ტყიბულის „მეშახტის" შეხვედრა, დამატებითი დროის მიუხედავად, ფრედ (1.1) დამთავრდა. ხვალ გუნდები კვლავ გამოვლენ მწვანე მინდორზე.

## „ა" კლასი II ჯგუფი

„ა" კლასის II ჯგუფის პირველი ქვეჯგუფის ფეხბურთელთა გუნდების გუშინწინ გამართულმა მორიგმა მატჩებმა სსრ კავშირის პირველობაზე ასეთი შედეგები მოგვცა: „თერგი" (გროზნო) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი) 0:3, „დინამო" (კიროვაბადი) — „ბალტიკა" (კალინინგრადი) 1:1, „შირაკი" (ლენინაკანი) — „დაუგავა" (რიგა) 1:1, „დინამო" (სტავროპოლი) — „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) 0:0, „სპარტაკი" (ნალჩიკი) — „როსტსელმაში" (დონის როსტოვი) 1:1, „ყუბანი" (კრასნოდარი) — „რუბინი" (ყაზანი) 2:0.

## უკანასკნელი საათი...

◆ *პლეინვიუ (ტეხასის შტატი), 23 აპრილი.* სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა აქ გამართა თავისი ტურნეს მეხუთე მატჩი. მან დაამარცხა ადგილობრივი კოლეჯის გუნდი, რომელსაც მყვირალა სახელი აქვს — „მფრინავი დედოფლები". საბჭოთა სპორტსმენებმა მეტისმეტად დაჯაბნეს „დედოფლები", რასაც მჭევრმეტყველურად ადასტურებს პირველი ტაიმის ანგარიში — 27:7. გამარჯვებულ გუნდს ყველაზე მეტი ქულა შესძინეს: ლ. ბაზარევიჩმა (12), ფ. ორიოლმა (11) და თ. სლიდენკომ (10).

◆ **ვენა,** 23 აპრილი. **აქ ჩამოვიდა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები, რომელიც ხვალ შეხვდება ავსტრიის ეროვნულ გუნდს. პარასკევს სტუმრებმა პირველი ვარჯიში ჩაატარეს.**

◆ **რიო-დე-ჟანეირო, 23 აპრილი.** ბრაზილიის ფეხბურთელებმა, რომლებიც ინტენსიურად ემზადებიან მსოფლიო ჩემპიონატისთვის, გუშინ თავიანთ საწვრთნელ ბანაკში ჩაატარეს მატჩი „წითლები" — „ცისფერები". გაიმარჯვეს „ცისფერებმა" — 4:2. 2 გოლის ავტორია პელე, ხოლო თითო — ჟერსონი და ჟ. სანტოსი, რომელმაც შესანიშნავი რეიდი განახორციელა. „წითლებიდან" ბურთები გაიტანეს ფლავიომ და პარანამ.

◆ *პარიზი*, 23 აპრილი. „ლაიპციგის" ხელბურთელმა ვაჟებმა ზუსტად გაიმეორეს თავიანთი თანაკლუბელი ქალების ბრწყინვალე წარმატება: ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალურ მატჩში აქ დაამარცხეს ბუდაპეშტის „ჰონვედი" (16:14) და მოიპოვეს ეს საპატიო პრიზი. თავი გამოიჩინა გერმანელთა გუნდის ლიდერმა პ. ტიდემანმა, რომელმაც 7 გოლი გაიტანა.

◆ **ნეაპოლი, 23 აპრილი.** საბჭოთა სპორტსმენთაგან მხოლოდ ს. ლიხაჩოვი გავიდა ჩოგბურთელთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის ნახევარფინალში. მან დაამარცხა თანამემამულე ა. ივანოვი (6:1, 2:6, 7:5) და ნახევარფინალში ნ. პიეტრანჯელის შეხვდება. თ. ლეიუსმა წააგო ამერიკელ მ. რისენთან — 5:7, 10:8, 5:7, ხოლო ა. მეტრეველმა — ავსტრალიელ ტ. როჩთან — 2:6, 1:6.



ლელოს ინტერვიუ

## თასი და „ბოროტი" ზრახვები

სოფლის სპორტსმენთა III საკავშირო სპარტაკიადაში საქართველოს მოჭიდავეები წარმატებით გამოვიდნენ. ადრე ჩვენ ვიუწყებოდით კლასიკური სტილის მოჭიდავეთა III ადგილის ამბავს. კიდევ უფრო ისახელეს თავი თავისუფალი სტილის ათლეტებმა: ვილიანდიდან (ესტონეთი) ისინი ჩემპიონებად დაბრუნდნენ.

„ლელოს" კორესპონდენტი ნ. გუგუშვილი ესაუბრა საქართველოს „კოლმეურნის" მოჭიდავეთა გუნდის უფროს მწვრთნელს, რესპუბლიკის დამსახურებულ მწვრთნელს ი. ჩხარტიშვილს. ვბეჭდავთ ამ საუბარს.

● **თქვენთვის ახალი ხილი არ უნდა იყოს I ადგილი?**

— სრული ჭეშმარიტებაა. „კოლმეურნის" მოჭიდავეებმა სოფლის სპორტსმენთა საკავშირო ტურნირში უკვე მეოთხედ გაიმარჯვეს.

● **გამოდის, რომ გარდამავალი თასი თავის ძველ პატრონს ჩაბარდა.**

— საქმე ისაა, რომ თბილისში ჩამოტანილი თასი ჩვენთვის ახალია. ძველი თასი „კოლმეურნის" სამუდამო მფლობელობაშია, ვინაიდან იგი სამჯერ ზედიზედ მოვიპოვეთ.

● **ამ თასის დატოვებასაც ხომ არ აპირებთ?**

— დიახ, გვაქვს ასეთი „ბოროტი" ზრახვა.

● **როგორ გამოვიდნენ ჩვენები პირად ჩათვლაში?**

— გვყავს ორი ჩემპიონი: ა. ცხოვრებოვი (საშუალო წონაში) და ო. კანდელაკი (მძიმეში). ამათ გარდა, ნ. ხოხაშვილმა (მსუბუქი) და გ. ნიპარიშვილმა (ქვემსუბუქი) II ადგილები დაიკავეს, ხოლო ო ბენდიაშვილმა (უმჩატესი) — III. ქვემძიმე წონაში ლ. ვარდოშვილი VI იყო. მისი გამოსვლით კმაყოფილი ვარ. ვარდოშვილმა ყველაფერი იღონა, რაც კი შეეძლო. მჩატე წონაში ფ. ხარაიშვილი VIII ადგილზეა, ხოლო მ. ახალაძე (ქვესაშუალო) — IX.

● **რას იტყვით ხარაიშვილის წარუმატებლობაზე?**

— იგი ამაში იმდენად არ არის დამნაშავე, რამდენადაც ლაგოდეხის სპორტკავშირისა და „კოლმეურნის" ხელმძღვანელობა, რომლებმაც მას რატომღაც გვიან შეატყობინეს თბილისში შეკრებაზე ჩამოსვლის ამბავი.

● **ჩვენს გუნდში ყველაზე დაბალი შედეგი ახალაძეს აქვს. რა იყო ამის მიზეზი?**

— უსწორო ტაქტიკა, რასაც მან III პრიზიორთან, ესტონელ მიოლასთან ჭიდილში მიმართა. სხვათა შორის, ახალაძემ დამაჯერებლად მოუგო ჩემპიონს (უზბეკეთის გუნდის წევრს ფილატოვს). სპეციალისტები მას კარგა ხანს მიიჩნევდნენ I ადგილის პრეტენდენტად.

● **ნუთუ ნ. ხოხაშვილი არ იყო ჩემპიონობის ღირსი?**

— მსუბუქ წონაში გაიმარჯვა ესტონელმა კოხამ, ფიზიკურად ძლიერმა, გამოცდილმა მოჭიდავემ. ხოხაშვილმა მასთან ფრედ იჭიდავა, მაგრამ ესტონელს ჩატარებულ შეხვედრათა მეტმა რაოდენობამ უშველა: საქმე ის არის, რომ კენჭისყრით ხოხაშვილი ერთ წრეში ისვენებდა. როგორც ხედავთ, ქართველმა ათლეტმა პირველობა შემთხვევით დაკარგა.

● **ვის გამოყოფთ ჩვენს გუნდში ყველაზე მეტად?**

— ა. ცხოვრებოვს, რომელმაც ყველა (6) შეხვედრა წმინდად მოიგო, თანაც ამ საქმეზე მან სულ 22 წუთი დახარჯა. მსაჯთა კოლეგიამ ეს ნიჭიერი ათლეტი ყველაზე ტექნიკურად ცნო და სპეციალური პრიზიც მიანიჭა.

* * *

დასასრულს ჩემპიონთა შესახებ. წონითი კატეგორიების მიხედვით I ადგილები დაიკავეს: რუსანკმა (უკრაინა), ალბარიანმა (სომხეთი), ბუგუბაევმა (ყაზახეთი), კოხამ (ესტონეთი), ფილატოვმა (უზბეკეთი), ცხოვრებოვმა (საქართველო), აიხანოვმა (ყაზახეთი) და კანდელაკმა (საქართველო).

* * *

**სურათზე:** სოფლის სპორტსმენთა III საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი, საქართველოს მოჭიდავეთა ნაკრები — დგანან (მარცხნიდან მარჯვნივ) ი. ჩხარტიშვილი, ა. მაისურაძე (მწვრთნელები), ნ. ხოხაშვილი, ა. ცხოვრებოვი, ო. კანდელაკი, ლ. ვარდოშვილი; პირველ რიგში — გ. ნიპარიშვილი, ო. ბენდიაშვილი, ფ. ხარაიშვილი, მ. ახალაძე.

ანგარიშგება-არჩევნები

# სტუდენტთა ორგანიზაცია სანიმუშო უნდა იყოს

თბილისში გაიმართა „ბურევესტნიკის" V რესპუბლიკური კონფერენცია. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ვ. ჭილაია. სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ შეკრებილთ მოუთხრო ბ. ტყემელაშვილმა. კამათში მონაწილეობა მიიღეს: სპორტის ოსტატმა ი. ერმოლოვამ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანებული ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცინცაძემ, ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორმა გ. სასონაძემ, უნივერსიტეტის სპორტკლუბის გამგეობის თავმჯდომარემ, საღამოს დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების პრორექტორმა, დოცენტმა ნ. ლომოურმა, სამედიცინო ინსტიტუტის ფიზაღზრდისა და სამკურნალო ფიზკულტურის კათედრის გამგემ, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, პროფესორმა გ. მღებრიშვილმა, ბათუმის პედინსტიტუტის სპორტკლუბის გამგეობის თავმჯდომარემ გ. კოზმოვმა, ქუთაისის პედინსტიტუტის სპორტკლუბის გამგეობის თავმჯდომარემ მ. ჯაფარიძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარემ ა. მანჯავიძემ და სხვ.

როგორც მომხსენებლებმა, ისე მოკამათეებმა ილაპარაკეს „ბურევესტნიკის" ფიზკულტურული ორგანიზაციებისა და სპორტსმენების მიერ წინა კონფერენციის შემდგომ განვლილ ორ წელიწადში მიღწეულ წარმატებებზე, აღნიშნეს ნაკლოვანებანი, დასახეს ამოცანები მათ აღმოსაფხვრელად.

კონფერენციაზე ითქვა, რომ „ბურევესტნიკის" რესპუბლიკურმა საბჭომ უმაღლესი სასწავლებლების ფიზაღზრდის კათედრებთან, სპორტკლუბებთან, ფიზკულტურული კოლექტივების საბჭოებთან მჭიდრო კავშირში და საქართველოს პროფსაბჭოს, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხელმძღვანელთა დახმარებით მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია.

საანგარიშო პერიოდში 17,7 პროცენტით გაიზარდა ფიზკულტურელთა, ხოლო 21 პროცენტით — საზოგადოების წევრთა რიცხვი. სპორტის 34 სახეობაში 23.196 კაცია ჩაბმული. ბოლო 2 წლის მანძილზე საზოგადოების სპორტსმენებმა 272 საქალაქო, რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზობაში მიიღეს მონაწილეობა. გადაჭარბებით შესრულდა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმა: მომზადდა 143 სპორტის ოსტატი, 1.122 პირველთანრიგოსანი და სხვ.

განსაკუთრებით კარგად მუშაობენ უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური, ფიზკულტურის, გორის, თელავისა და ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტების ფიზკულტურული ორგანიზაციები.

რესპუბლიკურ კონფერენციამდე გამართულ ანგარიშგება-არჩევნებზე საბჭოების მუშაობა ყველა 45 ორგანიზაციაში დადებითად შეფასდა.

საქართველოს „ბურევესტნიკის" 5 გუნდი სსრ კავშირის პირველობაზე „ა" კლასში გამოდის (ფრენბურთელები, ხელბურთელები, კალათბურთელები), ხოლო ყველა სტილის მოჭიდავეები, მოფარიკავეები, ჩოგბურთელები და ს(ხ)ვანი ცენტრალური საბჭოს არაერთგზის ჩემპიონები არიან. სტუდენტთა ბოლო საკავშირო თამაშებში უნივერსიტეტმა I, ხოლო პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა II ადგილი დაიკავა. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა შარშან გაიმარჯვა ამ ტიპის სასწავლებლების საკავშირო სპარტაკიადაში.

ბურევესტნიკელებს არც პროფკავშირების სპარტაკიადაში შეურცხვენიათ თავი, საქართველოში საერთო I ადგილი მოიპოვეს, საკავშირო ასპარეზობაში კი ამ საზოგადოების სპორტსმენებმა ოქროს 9, ვერცხლის 14 და ბრინჯაოს 23 მედალი დაისაკუთრეს.

მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ბავშვთა შორის მუშაობას, მშრომელთა მასობრივ-გამაჯანსაღებელ საქმიანობას. შარშან ჰიგიენურ ტანვარჯიშში, ტურიზმში, სპორტულ ნადირობასა და თევზჭერაში ჩაბმული იყო 6 ათასზე მეტი კაცი. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ვაჟთა და თბილისის პედინსტიტუტის ქალთა გუნდებმა I ადგილები მოიპოვეს ფრენბურთში ცენტრალური საბჭოს შარშანდელ ჩემპიონატში პროფესორ-მასწავლებელთა შორის. დამაკმაყოფილებლად მუშაობენ სტუდენტთა სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკები.

მაგრამ „ბურევესტნიკის" ფიზკულტურული კოლექტივებისა და გუნდების საქმიანობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრებმა, სპორტკლუბების გამგეობებმა, ფიზკულტურული კოლექტივების საბჭოებმა ვერ მოახერხეს ჯეროვნად განეხორციელებინათ ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებანი: „უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ", აგრეთვე „IV რესპუბლიკურ თამაშებსა და პროფკავშირთა სპარტაკიადებში მონაწილეობისა და სტუდენტთა V საკავშირო თამაშებისთვის მზადების საკითხზე".

ზოგიერთი ორგანიზაციის წევრთა ნახევარზე მეტი საზოგადოებაში არც კია გაერთიანებული (მაგალითად, სამედიცინო ინსტიტუტში, სამხატვრო აკადემიაში, სოხუმის პედაგოგიურ და სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტებში). შემცირდა სექციებში მომეცადინეთა რიცხვი: მძლეოსნობაში — 6,9, ცურვაში — 30, ველოსპორტში — 18, სპორტულ ტანვარჯიშში — 11 პროცენტით. დაბალია ნიჩბოსნობისა და მხატვრული ტანვარჯიშის განვითარების დონე. პროფკავშირთა საკავშირო სპარტაკიადაში ამ სახეობებში ჩვენი „ბურევესტნიკის" წარმომადგენლები ცუდად გამოვიდნენ.

ზღვისპირა ქალაქებში — ბათუმსა და სოხუმში სათანადო ყურადღება არ ეთმობა ცურვას, თბილისის პედინსტიტუტში კი მხოლოდ 6 მოცურავე ჰყავთ. ველოსპორტის განვითარებას აფერხებს ხარისხიანი ინვენტარის უკმარობა. ამ სახეობაში განსაკუთრებით ჩამორჩებიან უცხო ენების, ზოოტექნიკურ-სავეტერინარო, სოხუმის, გორის, თელავის პედაგოგიური ინსტიტუტები. ნაკლები ყურადღება ექცევა ძალოსნობას სამედიცინო და თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტებში, მძლეოსნობას — სოხუმის ორივე უმაღლეს სასწავლებელში, საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტში, სამხატვრო აკადემიაში და სხვ.

სათანადო ყურადღება არ ეთმობა მწვრთნელ-მასწავლებელთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას. მოუქნელად მუშაობენ ფედერაციები. გადასინჯვას საჭიროებს უმაღლეს სასწავლებლებში ფიზაღზრდის სწავლების პროგრამები, რაც ძირითადად მასობრივ-გამაჯანსაღებელი ხასიათის ვარჯიშებს ითვალისწინებს და ამიტომ, სტუდენტი ახალგაზრდობის სპორტული ოსტატობის დონის ზრდას დიდად ვერ უწყობს ხელს.

ჯერ კიდევ ვხვდება სპორტსმენთა მიერ დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. მაგალითად, ჩოგბურთელი სურმავა, რომელიც გუნდში ვერ მოხვდა, თვითნებურად გაემგზავრა ერევანში და ჩხუბი აუტეხა ცენტრალური საბჭოს პირველობის მსაჯებს. თავისი კოლექტივის ინტერესების დაცვას არაერთხელ აარიდეს თავი მოფარიკავე ლორთქიფანიძემ, მოჭიდავეებმა გვანცელაძემ, ბერიაშვილმა და სხვ. ლაპარაკი იყო აგრეთვე ბაზებისა და ინვენტარის სიმცირეზე...

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ი. პარფიონოვმა.

რესპუბლიკური საბჭოს მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასეს. მიიღეს სათანადო დადგენილება. შემდეგ ჩატარდა რესპუბლიკური საბჭოსა და სარევიზიო კომისიის არჩევნები, აირჩიეს აგრეთვე ცენტრალური საბჭოს V და საქართველოს სპორტკავშირის III კონფერენციის დელეგატები.

* * *

გაიმართა „ბურევესტნიკის" ახალარჩეული რესპუბლიკური საბჭოს I პლენუმი, რომელმაც რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია გ. ჭილაია, მოადგილედ — ზ. რუხაძე.

## მაღალი ჯილდო

გუშინ „ბურევესტნიკის" რესპუბლიკურ საბჭოში მოსკოვიდან მოვიდა დეპეშა, რომელიც იტყობინება, რომ „ბურევესტნიკის" ცენტრალურმა საბჭომ შეაჯამა შარშანდელი საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის ყველა დარგში მოპოვებული თვალსაჩინო მიღწევებისთვის **საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოს მიაკუთვნა I ადგილი და გარდამავალი წითელი დროშა.**

აღსანიშნავია, რომ წითელი დროშა 3 წელი ზედიზედ ეპყრა უკრაინის „ბურევესტნიკის" რესპუბლიკურ საბჭოს.

## ჭადრაკი

● კიევი, 22 აპრილი. აქ დამთავრდა უკრაინისა და ბულგარეთის მოჭადრაკეთა სამატჩო შეხვედრა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 12,5:7,5. პირველ დაფაზე დიდოსტატების ე. გელერისა და მ. ბობოცოვის (ბულგარეთი) შეხვედრებში მეჭადრაკეებმა თითო ქულა ჩაიწერეს. მეორე დაფაზე ოსტატ ი. სახაროვისა (კიევი) და დიდოსტატ გ. ტრინგოვის შეხვედრებში მასპინძელმა ქულანახევარი დააგროვა.

## ტრადიციულ ტრასაზე

ბათუმელთა დიდი ინტერესი გამოიწვია საგზატკეცილო წრიულმა ველორბოლამ კომკავშირის საქალაქო კომიტეტის გარდამავალ თასზე. ეს შეჯიბრება აჭარის დედაქალაქში 1955 წლიდან ტარდება. წლევანდელი, XII რბოლის სტარტზე გამოვიდნენ „დინამოს" (2 გუნდი), პედინსტიტუტისა და ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების კოლექტივები. სამწუხაროდ, შეჯიბრებას თავი აარიდეს „განთიადისა" და მთელი რიგი დიდი სამრეწველო დაწესებულებების სპორტსმენებმა.

ვაჟებში გაიმარჯვა ბათუმის „დინამოს" II გუნდის წარმომადგენელმა ე. კლდიაშვილმა. II და III ადგილებზეც დინამოელები გავიდნენ — I ნაკრების წევრები ი. ნორაკიძე და ა. ეროხინი.

ქალთა შორის უძლიერესი იყო დინამოელი ვ. მიხაშჩევა. მომდევნო ადგილები დაიკავეს „სპარტაკის" ველოსიპედისტებმა მ. გუსაროვამ და გ. ნესტერევამ.

გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დინამოელებმა დაისაკუთრეს.

**მ. კირაკოსიანი,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.
ბათუმი.

## ლ' ჩემპიონის სტარტი

### ✦ ცხინვალი

დამთავრდა მოსწავლეთა საქალაქო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთში, ჭადრაკსა და ტანვარჯიშში. მოჭადრაკეთა ტურნირში უძლიერესი იყო მე-3 სკოლის გუნდი, ფრენბურთელ გოგონათა შორის ყველას აჯობეს სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებმა, ჭაბუკებში კი — მე-2 სკოლის წარმომადგენლებმა. ტანვარჯიშში ჩემპიონი გახდა მე-3 სკოლის ნაკრები, მაგიდის ჩოგბურთში კი — მე-6 სკოლის კოლექტივი.

**ვ. მელქოევი.**

### ✦ ჩოხატაური

საწარმო-დაწესებულებების მოჭადრაკეთა პირად-გუნდურ პირველობაში ყველას აჯობა რედაქცია-სტამბის გუნდმა. პირად ჩათვლაში უძლიერესის სახელი დაისაკუთრა გამარჯვებული კოლექტივის წევრმა ვ. სიხარულიძემ.

**დ. ბურბენიძე.**

### ✦ თელავი

რაიონის მოსწავლეთა საჭადრაკო ჩემპიონატში I იყო ვ. ჩიტაშვილი (თელავის მე-4 სკოლა), გოგონებში კი — ი. განდელმანი (თელავის რუსული საშუალო სკოლა).

**გ. ელიოზიშვილი.**

## „ლელო" წერილის კვალდაკვალ

### „სტადიონი, ლორები და მაღალი ძაბვის დენი..."

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 2 თებერვლის ნომერში დაბეჭდილ წერილში ლაპარაკი იყო, რომ ხარაგოულში ფიზკულტურის ენთუზიასტთა მიერ მოწყობილ კომპლექსურ მოედანზე მაღალი ძაბვის ქსელისთვის ბოძების ჩაყრა მოინდომეს. შემდეგ ფოსტის შენობის ასაგებად გადაათხრევინეს ეს ადგილი და, საბოლოოდ, სტადიონი პირუტყვის სათარეშოდ აქციეს.

როგორც საქართველოს კომპარტიის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი ლ. ბერაძე გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა რაიკომის ბიურომ და მიიღო ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

## ფოტობრალდებანი



## თამბაქო, მეეტლეები და... სპორტი

დიდი ხანია აღარავინ იწუხებს თავს იმის დასამტკიცებლად, რომ თამბაქო და მაგარი სასმელები სპორტის მტრები არიან. მაგრამ ჩვენს დედაქალაქში მაინც აღმოჩნდა ზოგიერთი ურწმუნო და ეს საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტება სასწორზე შეაგდო, — ჩვენ ჩვენსას ვცდით და აბა, ვნახოთო!

ნუ დავუკარგავთ ამაგს. ექსპერიმენტი პირველად თბილისის თამბაქოს № 1 ფაბრიკის დირექციამ ჩაატარა: ფრენბურთისა და კალათბურთის კეთილმოწყობილი მოედნები გააუქმა და ფაბრიკის ფიზკულტურელთა ერთადერთი საწვრთნელი ბაზა თამბაქოს საწყობად აქცია. მისი ცდა მანამ არ დამთავრდა, სანამ რაიკომში, „განთიადისა" და სპორტკავშირის რესპუბლიკურ კონფერენციებზე არ დაგმეს. თითქოს ყველაფერი გადაწყდა, მაგრამ ქარხნის ახალგაზრდობამ სპორტული ბაზები მაინც ვერ დაიბრუნა — დირექციამ მოედნებიდან თამბაქო აიღო და... ტარა დააწყო.

მეპაპიროსეების წამოწყება თბილისის იპოდრომზე აიტაცეს და განავითარეს — თამბაქოს უზარმაზარი ზარდახნები ჯერ საზაფხულო თავლაში „დააბინავეს", მერე, როცა მაყურებელთა ტრიბუნა და ტოტალიზატორები მოიწყო და გადაიხურა, არც ეს ამდენი „თავისუფალი" ადგილი მოაცდინეს (იხ. ზ ე დ ა ს უ რ ა თ ი).

იპოდრომის დირექციამ ამ ბოლო დროს ისეთი კარგი რამე გამოიგონა, ახლა ხულერთია, თამბაქოს № 1 ფაბრიკამ ბევრიც რომ მოინდომოს, მოხერხებულობით მაინც ველარ დაეწევა. ადგა და ერთ მშვენიერ დღეს მძლეოსანთა ასპარეზობაზე მოსულ მაყურებელს დაახვედრა ცხენებშებმული ეტლები. ხალხი სეირნობით ისიამოვნებს, ჩვენ — შემოსავლითო. აკი ჩვენც ვისიამოვნეთ: ამას წინათ ორჯონიკიძის რაიონის მძლეოსნური კროსისა და მერე საქალაქო და რესპუბლიკური კროსების დროსაც ძველ ყაიდაზე ფარჩა-ატლასში გამოწყობილი მეეტლეები მერნებს ისე დააქროლებდნენ, კროსმენები და მსაჯები სულ თავქუდმოგლეჯილები გარბოდნენ.

ქ ვ ე დ ა ს უ რ ა თ ი სპორტნაგებობაზე ზრუნვის ნიმუშად გამოდგება. იპოდრომის ტრიბუნის სახურავს ქარმა ჯერ შიფერი ახადა, მერე კი მთლიანად ჩამოანგრია. უპატრონოდ მიტოვებულ ყვარლზე კი პატარები „ტარზანობას" თამაშობენ.

ზოგი ენაკვიმატი კითხულობს: სახურავი სწორედ იქ რომ ჩამოქცეულიყო, სადაც თამბაქო აწყვია, ნეტავ მაშინ რას იზამდნენო? თან მრავლისმეტყველად იღიმება... მაგრამ იპოდრომის დირექციამ არავიზე ნაკლები ღიმილი არ იცის და პასუხიც მუდამ მზად აქვს: ვინც რა უნდა თქვასო...

**ო. გელაშვილი.**

ფოტო ა. კოტორაშვილისა.



# ვინც რა უნდა თქვასო...

...ომ30, 22 აპრილი. აქ დამთავრდა უძლიერეს მოფარიკავეთა შეჯიბრება. ბოლო დღეს ასპარეზობდნენ რაპირით. გაიმარჯვა გ. სვეშნიკოვმა. მომდევნო ადგილებზე ...შაროვი და ვ. პუტიატინი.

...ძე, 23 აპრილი. უძლიერეს საბჭოთა მძლეოსნების აქ მიმ...რებაში სიგრძეზე ხტომა მაღალი შედეგით მოიგო ი. ტეროვანესიანმა — 823 სმ. ტ. შჩელკანოვამ სიგრძეზე ხტომაში აჩვენა 658 სმ. სახელგანთქმულ თ. პრესისა და ახალგაზრდა ნ. ჩიჟოვას ორთაბრძოლა ამჯერად პირველის გამარჯვებით დასრულდა — 17.78 მ. ბელორუსიის რეკორდი დაამყარა შუბის ტყორცნაში მ. დუბოგრაევამ — 56,40 მ. შეჯიბრება ოლიმპიური პროგრამით ტარდება (გარდა მარათონისა და 50 კმ-ზე სიარულისა). კვირას ასპარეზობის ბოლო დღეა.

● ნეაპოლი, 22 აპრილი. აქ მიმდინარე ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში ოთხივე საბჭოთა სპორტსმენი მეორე წრეში გავიდა: თ. ლეიუსმა დაამარცხა ავსტრალიის „მეშვიდე ჩოგანი“ ... — 6:0, 6:3, ლიხაჩოვმა — „მეექვსე ჩოგანი“ — დევიდსონი — 6:3, 6:1, მეტრეველმა — ერთ-ერთი უძლიერესი იტალიელი სპორტსმენი მერლო — 6:4, 4:6, 6:4, ხოლო ივანოვმა — იტალიელი ფანფანი — 3:6, 6:0, 6:2.

## სხარტი ამბები

# გადავხედოთ ოქმებს

ტანვარჯიშსა და აკრობატიკაში რესპუბლიკის მოსწავლეთა ტრადიციულ კომპლექსურ პირველობაში მონაწილე გუნდები ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი. I ჯგუფის კოლექტივებისთვის აუცილებელი იყო როგორც ტანმოვარჯიშეების, ისე აკრობატების გამოყვანა, ხოლო II ჯგუფის გუნდები მხოლოდ სპორტულ ტანვარჯიშში ასპარეზობდნენ.

რა გვიჩვენა ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებამ? გადავხედოთ ოქმებს. სამწუხაროდ, ხშირად გვხვდება ძალიან დაბალი შეფასებები — 3-დან 7 ქულამდე. განსაკუთრებით გვცემათ თვალში ტანმოვარჯიშეთა დაბალი დონე ისეთ ქალაქებში, როგორიცაა რუსთავი, სამტრედია, ლანჩხუთი და სხვ. ტანვარჯიშული საქმიანობა აქ ბავშვების წვრთნასა და მომზადების თუნდაც ელემენტარულ მოთხოვნილებებს არ აკმაყოფილებს. გაკვირვებას იწვევს აფხაზეთის ტანმოვარჯიშეთა გუნდის გამოუცხადებლობა შეჯიბრებაზე.

ამ უსიამოვნო ფაქტებთან ერთად შეჯიბრებამ გამოავლინა ნამდვილად პერსპექტიული, მოზარდი ტანმოვარჯიშეები — თბილისელები თ. კინწურაშვილი და გ. ლოლაძე (მწვრთნელი გ. ჩხარტიშვილი), ბათუმელი რ. ტრეტიაკოვა, ზუგდიდელები ა. ჩქოტუა და ნ. გარდავა. აღსანიშნავია, რომ ზუგდიდელთა წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ახალგაზრდა მწვრთნელს ნ. ხაბეიშვილს. ეს განსაკუთრებით დასაფასებელია, ვინაიდან ტანვარჯიშის ამ ენთუზიასტს არც თუ სახარბიელო სამუშაო პირობები აქვს.

ო. ქორქია,
სპორტის ოსტატი.

### ტექნიკური შედეგები

ტანვარჯიში. გუნდური. I ჯგუფი: 1. თბილისი, 2 ქუთაისი, 3. აჭარა; II ჯგუფი: 1. გორი, 2. ზუგდიდი, 3. სამხრეთ ოსეთი. სპორტის ოსტატობის კანდიდატის პროგრამით მოასპარეზეები: 1. ა. ჩქოტუა (ზუგდიდი) — 52,25 ქულა, 2. თ. კინწურაშვილი — 51,7, 3 გ ლოლაძე — 51,5 (ორივენი — თბილისი). პირველთანრიგოსნებში გაიმარჯვა დ. სეფერთელაძემ (თბილისი), მეორეთანრიგოსნებში — ა. ნოზაძემ (თბილისი), ხოლო მესამეთანრიგოსნებში — პ. შამუგიამ (თბილისი). სპორტის ოსტატ გოგონებს შორის I იყო მ. ჩაჩხიანი (თბილისი) — 37,65, II — რ. ჯინჭარაძე (თბილისი) — 37,4, III — ნ. ბაბუნაშვილი (ქუთაისი) — 37,3. პირველთანრიგოსნებში გაიმარჯვა ც. ჩოხელმა (თბილისი), მეორეთანრიგოსნებში — რ. ტრეტიაკოვამ (აჭარა).

აკრობატიკა. გუნდური: 1. თბილისი, 2. აფხაზეთი, 3. რუსთავი. ოსტატ გოგონებში გაიმარჯვა ვ. ანტონოვამ (აფხაზეთი) — 72,85, პირველთანრიგოსნებში — ლ. გაბელაიამ (თბილისი), მეორეთანრიგოსნებში — ლ. თათეოსიანმა (აჭარა). ოსტატ ჭაბუკებში I იყო ბ. მარტიროსიანი (აფხაზეთი) — 72,3. პირველთანრიგოსნებში — ჯ. მურადოვი (თბილისი), ხოლო მეორეთანრიგოსნებში — თ. მიქაუტაძე (ქუთაისი).

კომპლექსურ ჩათვლაში გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისი, 2. ქუთაისი, 3. აჭარა.

## ეტიუდისტის ავტოპორტრეტი

წიგნის თარო



გია ნადარეიშვილის „ეტიუდები“, რომელიც „ნაკადულმა“ გამოსცა, კარგი საჩუქარია საჭადრაკო კომპოზიციის მოყვარულთათვის.

წიგნი მშვენივრად არის გაფორმებული (მხატვარი — რუსთაველის პრემიის ლაურეატი ე. ამაშუკელი), ახლავს ქართულ-რუსული საჭადრაკო ნოტაცია და ანოტაცია რუსულ და ინგლისურ ენებზე. ავტორის შესახებ მოუთხრობს მკითხველს დიდოსტატ ი. ავერბახის წერილი „საჭადრაკო კომპოზიციის ოსტატი“.

წიგნი ოთხი ნაწილისგან შედგება: 1. რჩეული ეტიუდები, 2. საქართველოს კონკურსების რჩეული ეტიუდები, 3. ლაზიერი მსუბუქ ფიგურათა წინააღმდეგ, 4. როგორ შევადგინოთ საჭადრაკო ეტიუდი.

პირველი ნაწილი შეიცავს გ. ნადარეიშვილის 78 ეტიუდს, რომელთაგან უმრავლესობას მაღალი ჯილდო დაუმსახურებია სხვადასხვა კონკურსში. მეორე ნაწილში ავტორს თავი მოუყრია იმ ეტიუდებისთვის, რომელთაც მოწონება დაიმსახურეს საქართველოში სხვადასხვა დროს გამართულ კონკურსებში. სხვათა შორის, ეს პირველი ცდაა ჩვენი საეტიუდო მემკვიდრეობის დაცვისა. სამწუხაროდ, ეს ნაწილი მოკლებულია განზოგადებას, ავტორი მხოლოდ ფაქტობრივ მასალას გადმოგვცემს.

მესამე ნაწილი გვაცნობს გ. ნადარეიშვილს, როგორც მკვლევარს. ეტიუდისტი მრავალი წელია დაინტერესებულია ლაზიერის წინააღმდეგ მსუბუქი ფიგურების ბრძოლით და წიგნშიც სწორედ ამ თემას განიხილავს. ზოგიერთი პოზიცია ყურადღებას იმსახურებს.

წიგნის მეოთხე ნაწილით გ. ნადარეიშვილს თავის შემოქმედებით ლაბორატორიაში შევყავართ. ავტორი ყურადღებას უმთავრესად ეტიუდის შედგენის ტექნიკაზე ამახვილებს.

ქართველ ახალგაზრდობას დღემდე არ გააჩნია საჭადრაკო კომპოზიციის თემების კრებული, ვრცელი ნარკვევები ამოცანებისა და ეტიუდების შედგენის საკითხებზე. გ. ნადარეიშვილის „ეტიუდები“ უეჭველად კარგ სამსახურს გაუწევს კომპოზიციით დაინტერესებულთ, მით უმეტეს, რომ წიგნს დართული აქვს საუცხოოდ შედგენილი „ეტიუდების მაჩვენებელი მასალის მიხედვით“, „ეტიუდების საძიებელი თემების მიხედვით“ და „ეტიუდების საძიებელი ავტორთა მიხედვით“. წიგნის რედაქტორია ახალგაზრდა ეტიუდისტი ვ. ნეიძე.

თ. გიორგაძე.

## ასპარეზობენ ნორჩები

დამთავრდა ბათუმის მოსწავლეთა პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში. გოგონებში (ოსტატობის კანდიდატის პროგრამით) I ადგილი დაიკავა მე-8 სკოლის მოსწავლემ ქ. ხუფენიამ. II ადგილზეა 1-ლი სკოლის ნორჩი სპორტსმენი ნ. ემირიძე. პირველთანრიგოსნებში ყველას აჯობა მეხუთესკოლელმა მ. ცანკოვსკაიამ, II ადგილზეა ვ. ქლენტი (მე-4 სკოლა), III — ლ. ჩხაიძე (სალამოს სკოლა). იმ სპორტსმენთა შორის, ვინც II თანრიგის პროგრამით გამოდიოდა, საუკეთესო იყო ნიჭიერი ტანმოვარჯიშე რ. ტრეტიაკოვა (მე-2 სკოლა).

ჭაბუკები II თანრიგის პროგრამით ასპარეზობდნენ. აქ იმარჯვა მე-14 სკოლის მოსწავლემ მ. მითაიშვილმა.

ა. ქებაძრიანი.

ბათუმი.

# პარაშუტი არ გაიშალა

## სიმამაცე, ნებისყოფა, მეგობრობა

— აბა, მაგან უნდა თქვას, ბედი მაქვსო!

— საიქიოდან დაბრუნდა!

— უბრალოდ, შემთხვევის ამბავია!

ყველამ თავისებურად ახსნა „სასწაული“, აღტაცებით კი ყველა ერთნაირად აღტაცებული დარჩა. ხალხი გააოცა ახალგაზრდა სპორტსმენის ნებისყოფამ და ვაჟკაცობამ, მისი მეგობრების ალღომ და მოხერხებამ.

ეს ამბავი ამ ორი წლის უკან, გაზაფხულზე, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ სამხრეთ ქალაქში მოხდა მოწინავე სპორტსმენ-პარაშუტისტთა საწვრთნელ შეკრებაზე. მათ შორის იყო საბჭოთა არმიის ლეიტენანტი, სპორტის ოსტატი, მსოფლიოს ცხრაგზის რეკორდსმენი, სსრ კავშირის ნაკრების წევრი, 23 წლის იური ბელენკო. იმ დროისთვის მას უკვე 900 ნახტომი ჰქონდა განხორციელებული სულ სხვადასხვა პირობებში — ზამთრობით, ზაფხულობით, დღისით თუ ღამით, პატარა და დიდი სიმაღლიდან. ხიფათს არასოდეს გადაჰყრია, ახლა კი...

სპორტსმენმა თვითმფრინავი 1.000 მეტრის სიმაღლეზე დატოვა, გამოსაკრავ რგოლს მოსწია, მაგრამ... პარაშუტი არ გაიშალა. უმალვე გაიხსნა სათადარიგო პარაშუტი, მაგრამ ქარის ძლიერმა ნაკადმა სპორტსმენი თოკებში გახლართა. დაღუპვა გარდუვალი ჩანდა.

მაგრამ იური გადარჩა! ბოლო წუთს მისმა ამხანაგებმა იმარჯვეს და თითქოს განწირულ სპორტსმენს 12 მეტრის სიგრძისა და 1 მეტრის სიგანის ბრეზენტის ნაჭერი, ე. წ. პარაშუტის „მაგიდა“ შეაგებეს. ბელენკო ისე დაეცა, რომ ბრეზენტზე თავი ვერ შეიმაგრა და მიწას დაენარცხა. „მაგიდამ“ თავისი კეთილი საქმე მაინც გააკეთა. სპორტსმენი დაშავდა (ფეხი მოიტეხა), მაგრამ, რაც მთავარია, ცოცხალი გადარჩა.

საავადმყოფოში იურის ბევრი მნახველი ჰყავდა — მეგობარი სპორტსმენები, პარაშუტისტი-გამომცდელები, ნაცნობები და უცნობები.

მე ორჯერ ვინახულე ბელენკო, ერთხელ იმ შემთხვევიდან არც ისე დიდი ხნის მერე, მეორედ — საავადმყოფოდან რომ გამოწერეს. იმ დღეს რომ ვკითხე, რა გსურთ თქვენს მეგობრებს გადავცე-მეთქი, მიპასუხა:

— უპირველეს ყოვლისა, ჩემი სახელით დიდი მადლობა გადაეცით მათ, ვინც სიკვდილს გადამარჩინა. მართალი გითხრათ, ერთ ხანს ვერც კი გავერკვიე, რა მოხდა, რა სასწაულით გადავრჩი. მაგრად დავეცი, მაგრამ, მგონი, გონება არ დამიკარგავს. საავადმყოფოში ყველაფერი მიამბეს. შეიარაღებული ძალების სარდალმა მინახულა, მითხრა: თავდაცვის მინისტრმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა მალინოვსკიმ ყველა, ვინც გადამარჩინა, სამახსოვრო საათებით დააჯილდოვაო. გულითად მადლობას ვუხდი ჩემს მკურნალ ექიმს ვერა კუდრიაშოვას, მედდებსა და მომვლელებს, რომელთაც მონდომება არ დაიშურეს. განმკურნეს და ფეხი ხელახლა ამადგმევინეს.

— რას აპირებთ სამერმისოდ. სპორტს ჩამოშორდებით?

იურიმ ღიმილით შემომხედა.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ამ შემთხვევამ ხალისი დამიკარგა? არა, პარაშუტს ერთხელ თუ გაუგე გემო, მერე ველარ მოეშვები.

ბელენკო ამას გულწრფელად ამბობდა. მთელი ეს ორი წელი იგი ვაჟკაცურად იბრძოდა დასახული მიზნის მისაღწევად, შეუპოვრად სწავლობდა ჯერ ყავარჯნით, მერე ჯოხით სიარულს და ბოლოს ისიც გადააგდო.

და აი, ამ დღეებში საჰაერო-სადესანტო მეთაურთა წითელდროშოვან უმაღლეს სასწავლებელში დავრეკე.

— ლეიტენანტ ბელენკოს მალე ნახავთ, მოსკოვში ჩამოვა, ამხანაგებმა კომკავშირის XV ყრილობის დელეგატად აირჩიესო, მიპასუხეს. ისიც მითხრეს, რომ XXIII ყრილობის დღეებში ი. ბელენკო კომუნისტური პარტიის რიგებში მიუღიათ.

— სპორტში როგორღა აქვს საქმე?

— კარგად. საკავშირო და შეიარაღებული ძალების პირველობებშიც მიიღო მონაწილეობა. პარტიის XXIII ყრილობის წინ ჩვენმა სპორტსმენებმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარეს ჯგუფურ ხტომაში. ამ გამარჯვების ერთ-ერთი ავტორი ლეიტენანტი ბელენკო გახლავთ. მის გუნდში საქმე კარგად მიდის. იგი სპორტის ახალ ოსტატებსა და თანრიგოსნებს ამზადებს. „უფროსი თაობის“ ბევრი მეომარი-სპორტსმენი უკვე დემობილიზებულია. მათ ნაცვლად ახალგაზრდობა მოდის. სამუშაო თავსაყრელია!

შევიტყე, რომ დემობილიზებულთა შორის არიან ისინიც, ვინც ორი წლის უკან სიცოცხლე შეუნარჩუნა ბელენკოს: სერჟანტები ა. ბოგდანოვი და ი. ნიკორენკო, ეფრეიტორი ა. ჩეკირდა. კურსანტ ვ. კუნჩუკინს, მერიგე ვ. პოტოკინს, უმცროს სერჟანტს ი. ფასჰუტდინოვს კი ჯერ არ დაუმთავრებიათ სავალდებულო სამხედრო სამსახური. „უფროს თაობას“ ბელენკო ახლაც ხვდება, მაგრამ უკვე როგორც მეტოქეებს, — ისინი შეჯიბრებებში თავიანთი რესპუბლიკისა თუ ოლქის ღირსებას იცავენ.

კიდევ ერთი სასიამოვნო ამბავი — დიდი ნებისყოფისა და ვაჟკაცობისათვის ლეიტენანტი ბელენკო წითელი ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოვეს. მთავრობის ჯილდო გადაეცა ყველას, ვისაც მამაცი პარაშუტისტის გადარჩენაში წვლილი მიუძღვის. მართლაც, დიდი რისკი გასწიეს ახალგაზრდებმა, ისინი მარტო საპარაშუტო სპორტის ოსტატები კი არა, კარგი ამხანაგებიც არიან და ერთმანეთის დასახმარებლად თავს არ დაზოგავენ.

ამ 2 წლის მანძილზე მებრძოლმა სპორტსმენებმა მრავალჯერ სცადეს ძალა და ოსტატობა. ი. ფასხუტდინოვი, მაგალითად, ათასჯერ მაინც ჩამოხტა პარაშუტით, პოტოკინი, ჩეკირდა და ნიკორენკო კი 700-ზე მეტჯერ. არ გარჯიშობს და შეჯიბრებებში არ მონაწილეობს მხოლოდ ბელენკოს მეუღლე ფრანჩესკა — ახლახან მათ ქალიშვილი შეეძინათ. მაგრამ ფრანჩესკა სულაც არ აპირებს სამუდამოდ ჩამოშორდეს სპორტს, იგი პირველთანრიგოსანია.

— დიახ, ეს მართლაც თავისებური სასწაულია, — თქვა ბელენკოს „იღბლიანი გადარჩენის“ თაობაზე საბჭოთა კავშირის გმირმა ნ. სტრატიევსკიმ. — ჯერ არ გამიგონია, რომ ოდესმე პარაშუტისტი „მაგიდით“ დაეჭიროთ. ბელენკოს, უპირველეს ყოვლისა. მისმა სიმამაცემ და ნებისყოფამ უშველა. რაც მთავარია, არ დაბნეულა, მთელი ძალ-ღონით ცდილობდა როგორმე თავი დაეღწია განსაცდელისთვის, დაცემის მომენტში ერთიანად დაიძაბა, მოიკუნტა, ორიენტირება არ დაუკარგავს. მისმა მეგობრებმაც ივაჟკაცეს, ყველაფერი წამში მოისაზრეს, საკუთარი სიცოცხლე სასწორზე შეაგდეს და განწირული გადაარჩინეს.

სწორედ ამაზეა ნათქვამი: ღმერთო მიშველეო და ხელი გაანძრიე და გიშველებაო.

ნ. ჩაიკა.

# გულრიფშელი მხედრის წარმატება

### ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებში



გალის საკოლმეურნეობათაშორისო საცხენოსნო სპორტული კლუბის იპოდრომზე სამ დღეს მიმდინარეობდა „კოლმეურნის“ რესპუბლიკური პირადი პირველობა ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებში (კონკურში). შეჯიბრებაში მონაწილეობდა სოხუმის, გულრიფშის, გუდაუთის, გალის, ჩოხატაურის, ზუგდიდისა და ფოთის რაიონების 50-მდე მხედარი.

„გახსნის პრიზზე“ დაბრკოლებათა გადალახვაში გაიმარჯვა გუდაუთელმა ა. ლაკერბაიამ. „ექვს დაბრკოლებაზე“ შეჯიბრებაში ტოლი არ ჰყავდა სოხუმელ ა. მოსერს. „სამონადირეო პარკურში“ ყველას აჯობა გულრიფშელმა დ. ხოფერიამ.

საინტერესოდ ჩატარდა სიმაღლეზე ხტომა. „ფარფორზე“ ამხედრებულმა ა. ლაკერბაიამ 182 სმ დაძლია და პირველობაც მოიპოვა.

„გალის თასზე“ ასპარეზობაში პირველი იყო გალელი მ. ლაბაშია. გამარჯვებულთა შორის დაბრკოლებათა გადალახვაში ა. ლაკერბაიამ იმარჯვა.

საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა დ. ხოფერიამ, II ადგილზეა ა. ლაკერბაია, III — შ. გულორდავა (ზუგდიდი).

გაიმართა 2-კილომეტრიანი სადა დოღი, რომელიც შეჯიბრების ჩათვლაში არ შედიოდა. გაიმარჯვა გალელმა ლ. ლემონჯავამ. შესანიშნავად ჯირითობდა გალის რაიონის სოფელ გუმურიშის კოლმეურნე, 75 წლის ჭ. ზუხბაია. საინტერესო იყო, აგრეთვე, შ. გულორდავასა და გალელი ცხენოსანი ქალის ა. ჩხიკვაძის საჩვენებელი გამოსვლა „ყიზჯუღში“.

ვ. სემიონოვი.
(ჩვენი კორ.).

გალი.

* * *

სურათზე: მ. ლაბაშია ასპარეზობისას.
ფოტო ავტორისა.

# სტუმრად მოსწავლეებთან

## ვეტერანის საჩუქარი

ამას წინათ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სააგიტაციო-სპორტულმა ბრიგადამ საინტერესო ღონისძიება გამართა მარნეულის რაიონის სოფელ წერეთლის საშუალო სკოლაში. მოხსენება „სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა და ჩვენი რესპუბლიკის ნორჩი სპორტსმენების ამოცანები“ გააკეთა ინსტიტუტის სპორტის გამოყენებითი სახეების ფაკულტეტის დეკანმა ა. ციბაძემ. მოსწავლეებმა დიდი გატაცებით მოისმინეს სპორტის დამსახურებული ოსტატის მ. ულენტისა და ქართული კრივის ვეტერანის გ. ჯაფარიძის საუბარი. სალამოში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ვეტერანებმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ს. შუდრამ, გ. დვალმა და ფ. ძნელაძემ.

სტუმრებს მიესალმნენ სკოლის დირექტორი შ. ასანიძე, განათლების განყოფილების ინსპექტორი გ. ართმელაძე, ფიზაღზრდის მასწავლებელი ა. ხუროშვილი, მოსწავლეები გ. ხისვაძე და ს. ცუხიშვილი.

სტუმრებმა მოსწავლეებს უსაჩუქრეს თასი, რომელიც შემდგომში გადაეცემა სკოლის სპარტაკიადაში გამარჯვებულ ჯგუფს.

ქ. ბაშელი.

• • •



სურათზე: მარნეულის რაიონის სოფ. წერეთლის საშუალო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლე ს. ცუხიშვილი მ. ულენტს უკეთებს პიონერულ ყელსახვევს.

ფოტო ავტორისა.

# თასის დაგადება

თბილისის მოსწავლე-მძლეოსანთა სპორტული ღონისძიებების კალენდარს კიდევ ერთი ასპარეზობა შეემატა — ქალაქის განათლების განყოფილებამ დააწესა გარდამავალი თასი, რომლის მოსაპოვებლადაც ამიერიდან იბრძოლებენ დედაქალაქის ყველა რაიონისა და მე-2 სპორტული სკოლა-ინტერნატის ნაკრები გუნდები.

წლეულს 8 კოლექტივი 2 ნახევარფინალურ ჯგუფად დაიყო. ნახევარფინალებში ბოლო ადგილებზე გასული თითო გუნდი ტურნირს გამოეთიშება, ხოლო სხვები ფინალში „გაარკვევენ ურთიერთობას“ როგორც ნახევარფინალებში, ისე ფინალში ცალკეულ სახეობებში გუნდებს ჩათვლას აძლევს თითო საუკეთესო მაჩვენებელი.

თასის პირველი გათამაშების ნახევარფინალური შეხვედრები ამას წინათ „ბურევესტნიკის“ სტადიონზე გაიმართა. პროგრამის 26 სახეობიდან ბევრმა I თანრიგის შედეგი აჩვენა.

განსაკუთრებით ქების ღირსია ოქტომბრის რაიონის 37-ე სკოლის მეათეკლასელი ე. კონდრატიევი (მწვრთნელი ე. გაგუა) ამ ჭაბუკს შეჯიბრების მეორე დღეს უსრულდებოდა 17 წელი, რაც საშუალო ასაკში ასპარეზობის უფლებას ართმევდა. ალბათ, ამიტომაც მის გამოსვლაში იმ დღეს ყველაზე მეტად იგრძნობოდა გამარჯვებისკენ სწრაფვა, რამაც ჭაბუკს პირველობაც მოუტანა და ახალი რესპუბლიკური რეკორდიც. მან ჯერ 100 მეტრზე რბენაში აჩვენა 10,8 (I თანრიგის ნორმა) და ა. ანტონოვის რესპუბლიკური რეკორდი გაიმეორა, მეორე დღეს კი 200 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა (22,4), აქაც I თანრიგი მოიპოვა და თავისივე რესპუბლიკური რეკორდი განაახლა.

აღსანიშნავია შემდეგი შედეგები: 100 მ — ვ. გოლეთიანი (1-ლი მაისის რაიონი) — 11,1, 80 მ თარჯრბენი — ო. კოსტრიკინა (ლენინის რაიონი) — 12,6, 100 მ რბენა — გოგონა ვ. იახშიანი (ოქტომბრის რაიონი) — 12,6. ამ მძლეოსნებს მხოლოდ 0,1-0,2 წამი არ ეყოთ I თანრიგის ნორმის შესასრულებლად, ხოლო ზ. ალხანაიძეს (სკოლა-ინტერნატი) 9 სანტიმეტრი დააკლდა I თანრიგის ნორმას. იგი 681 სმ-ზე გადახტა.

სამწუხაროდ, ზოგიერთმა რაიონმა საასპარეზოდ მოუმზადებელი მძლეოსნები გამოიყვანა. მაგალითად, ვ. კარპენკომ (ორჯონიკიძის რაიონი) შუბი ტყორცნა 16,55 მეტრზე, ხოლო მ. სახვაძემ (ოქტომბრის რაიონი) ბადრო 20,56 მეტრზე გადააგდო. განსაკუთრებით დაბალი იყო შედეგები 800 მეტრზე გოგონათა რბენაში. გამარჯვებული ნ. ვაჩნაძის (1-ლი მაისის რაიონი) შედეგი (2.55,8) არც ერთი თანრიგის ნორმას არ შეესაბამება.

ორდღიანი ტურნირის შემდეგ ფინალში ვერ გავიდნენ კალინინისა და ოქტომბრის რაიონების მძლეოსნები.

სამაგიეროდ, კარგად გამოვიდნენ სკოლა-ინტერნატისა და ორჯონიკიძის რაიონის კოლექტივები, რომლებმაც გაიმარჯვეს კიდეც ნახევარფინალებში.

სხვა გამარჯვებულთა მაჩვენებლები ასეთია: გოგონები — 200 მ რბენა — ვ. იახშიანი და თ. ეპიფანოვა (კალინინის რაიონი) — 26,8, 400 მ — ს. არმუშევა (ლენინის რაიონი) — 1.05,2, სიმაღლე — ლ. ჯელაძე (ინტერნატი) — 140, სიგრძე — ი. გნიოტოვა (1-ლი მაისის რაიონი) — 516, შუბი და ბირთვი — დ. საბაური (ლენინის რაიონი) — 32,12 და 11,10, ბადრო — ც. ჯაფარიძე (ინტერნატი) — 38,53, ჭაბუკები — 400 მ — ა. ტეკშტრემი (26 კომისრის რაიონი) — 53,4, 800 მ — ვ. ემინოვი (ორჯონიკიძის რაიონი) — 2.08,5, 1.500 მ — ი. იაკცევიჩი (26 კომისრის რაიონი) — 4.37,0, 3.000 მ — ი. თელია (კალინინის რაიონი) — 10.01,3, 110 მ თარჯრბენი ვ. ჩერნოვი (ორჯონიკიძის რაიონი) — 15,8, 200 მ თარჯრბენი — ი. ხოხობაშვილი (ინტერნატი) — 27,Y, სიმაღლე — ო. ჩახუნაშვილი (1-ლი მაისის რაიონი) და ვ. ბეზდელნი (ოქტომბრის რაიონი) — 180, ჭოკი — ი. ოგანეზოვი (1-ლი მაისის რაიონი) და ვ. ზუბკო (ლენინის რაიონი) — 350, სამხტომი — ა. გაბარაევი (კიროვის რაიონი) — 13,38, შუბი — ლ. სამხარაული (ინტერნატი) — 59,93, ბირთვი და ბადრო — ლ. ყაჯრიშვილი (ორჯონიკიძის რაიონი) — 13,85 და 44,41, ურო — ი. ჩერკაშიანი (26 კომისრის რაიონი) — 48,83.

ო. ივლოშვილი.

## ● სოლიდარობის ანგარიში

„პენტაგონის გენერლებს ჯერ კიდევ არ შეშრობიათ ხელზე ასი ათასობით უდანაშაულო მსხვერპლის სისხლი. ისინი მკვლელები არიან. ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია ადამიანთა შორის მეგობრობა და კეთილი ურთიერთობა, ყველამ და, რასაკვირველია, ჩვენ, სპორტსმენებმა, კეთილშობილური ოლიმპიური იდეალებით გაერთიანებულმა დიდმა არმიამ, აგრესორებს უნდა ვუთხრათ მტკიცე არა!“

ასე გამოთქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენთა აზრი განთქმულმა ველოსიპედისტმა, ამჟამად მწვრთნელმა ტევე შურმა.

გდრ-ში არსებობს „ვიეტნამთან სოლიდარობის“ სპეციალური საბანკო ანგარიში. ვიეტნამის პატრიოტების დასახმარებლად ფულადი თანხის შეგროვებაში სპორტსმენები აქტიურად მონაწილეობენ. დაახლოებით ათასი მარკა შეიტანეს აუერბახის ტანმოვარჯიშეებმა, 535 კი — კოტბუსის სპორტსმენებმა. საფეხბურთო კლუბის „ბფა ფუსბალ ჰალეს“ საოლქო კონფერენციაზე დელეგატებმა უშუალოდ სხდომაზე შეაგროვეს 125 მარკა და მაშინვე სოლიდარობის ანგარიშზე გადაგზავნეს.

## ● კლეი მეტოქეს ეძებს

ამრიგად, კასიუს კლეიმ მოკრივე პროფესიონალთა შორის მსოფლიოს ჩემპიონობის ტიტულის კიდევ ერთი პრეტენდენტი, კანადელი ჯორჯ ჩუვალო დაამარცხა. ბრძოლა მას შემდეგ შედგა, რაც კლეიმ ვერ მოახერხა მეორე ამერიკელს, ენრი ტერელს მატჩის თაობაზე მოლაპარაკებოდა (ვერ შეთანხმდნენ, ვის რამდენი ფული უნდა მიეღო). მაგრამ ტორონტოში ჩუვალოსთან მატჩის შემდეგ კლეი, როგორც ამერიკული გაზეთები იტყობინებიან, ჩიკაგოში „მეტად მოწყენილი“ გაემგზავრა. საქმე ის არის, რომ კანადის საფინანსო უწყებამ მსოფლიო ჩემპიონის კუთვნილი ჰონორარის ნახევარს ყადაღა დაადო. ამასთან დაკავშირებით, უწყების წარმომადგენელმა განაცხადა:

— ჩვენ კარგად ვიცით, რომ კლეი არასოდეს არ იხდის გადასახადებს, ახ თავის ნამდვილ შემოსავალს მალავს. ამიტომ, ყოველ შემთხვევაში, თავის დაზღვევა გადავწყვიტეთ.

თვით კლეი და მისი მრჩეველი ადვოკატი ა. გრეფტონი კარგა ხანს ახალი მეტოქის ძებნით იყვნენ გართული. იგი ინგლისელი ჰ კუპერი „აღმოჩნდა“. ორთაბრძოლა 21 ან 28 მაისს უნდა შედგეს. ამერიკელი სამხედრო ხელისუფალნი მაინც აპირებენ კლეის არმიაში გაწვევას „სხვა დეზერტირთა სამაგალითოდ“. ამასთან დაკავშირებით, გრეფტონი მეტად ჩქარობს.

— კასიუსი რომ დაბრუნდეს კიდეც ვიეტნამიდან, — თქვა ადვოკატმა, — ფულის გაკეთებას უკვე ვეღარ შეძლებს და ვერც მას გამოიყენებ ფულის გასაკეთებლად. აბა, ჯუნგლებში, მაგდაგვარ ხორცსაკეპში გატარებული კაცი რაღა ჩემპიონი უნდა იყოს?

თვით კლეი ახლა გრეფტონზე ნაკლებ როდი გრძნობს, რომ ამერიკელი ლანდსკნეხტების ბინძური ომი ვიეტნამში დასასრულს უახლოვდება. იგი მთელი ძალით ცდილობს არმიაში სამსახურს თავი დააღწიოს და კიდევ ერთხელ ბიზნესი გააკეთოს. ამბობს, ვინ იცის, იქნებ ხეიბარი დავბრუნდე და ფული დამჭირდებაო.

## ● პელეს კოლექცია

ბევრმა როდი იცის, რომ განთქმული ბრაზილიელი ფეხბურთელი პელე გატაცებული კოლექციონერია. იგი ფეხბურთის კამერებს აგროვებს და ხშირად ჩივის, რომ კოლექციის გამდიდრება მეტად უძნელდება.

საქმე ის არის, რომ მწვრთნელებში, სხვა ფეხბურთელებსა და, ბოლოს, უამრავ გულშემატკივარს შორისაც ბევრი მზადაა დიდძალი ფული გადაიხადოს იმ ბურთისათვის, რომლითაც სპორტსმენებს რომელიმე გადამწყვეტი მატჩი უთამაშიათ. ცხადია, სასურველი კამერის ხელში ჩაგდება იოლი არ არის.

— მიუხედავად ამისა, — განაცხადა ამ დღეებში პელემ, — ვიმედოვნებ, რომ ლონდონის მსოფლიოს ჩემპიონატზე საკმაოდ გავზრდი ჩემს კოლექციას. კამერაზე გასაცვლელად ბრაზილიიდან ძვირფას სუვენირებს ჩავიტან. სუვენირების ნაწილი კი თვით ინგლისში დავუკვეთე.

საქმე ის არის, რომ პელემ ინგლისის ქალაქ უილმსლოუში სპორტული ნივთების ფაბრიკას საგანგებოდ დაუკვეთა ბრაზილიური დროშის ფერი 30 სვიტერი, რომლებზეც მისი სახელი იქნება ამოქსოვილი. ფაბრიკანტი საგონებელში ჩავარდა: როგორ გინდა დაატიო ერთ სვიტერზე „ედსონ არანტეს დო ნასიმენტო—პელე“?

ბოლოსდაბოლოს მოილაპარაკეს, რომ სუვენირს მხოლოდ ერთი სიტყვა — „პელე“ დაამშვენებს. ბრაზილიელი ფეხბურთელი ვარაუდობს, რომ ამ სვიტერებსაც კამერებზე გაცვლის.

# ყოველი მხრიდან

ამასწინანდელ მატჩში ლონდონის ორ გუნდს — „ჩელსისა“ და „ვესტ ჰემ იუნაიტედს“ შორის მინდორზე შეხვდნენ ყოფილი თანაგუნდელები: „ჩელსის“ მარჯვენა მცველი ჯ. კერკაპი (მარცხნივ) და „ვესტ ჰემის“ ფორვარდი ბ. დიერი. მათი შეხვედრა რომ მეგობრული არ იყო, ეს კარგად ჩანს ამ სურათზე.

ფოტო „დეილი უორკერიდან“ (ინგლისი).



რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტული ბუნება

**კლასიკური ჭიდაობა.** სპორტის სასახლე. **24 აპრილი.** სსრ კავშირის ახალგაზრდა ათლეტთა გუნდური პირველობა (თბილისის ზონა). დასაწყისი 10 ს. და 18 ს.

**ავტოსპორტი.** ვაკე-საბურთალოს გზა. **24 აპრილი.** წრიული ავტორბოლა „თბილისის დიდ პრიზზე“. დასაწყისი 11 ს. და 30 წ.

**ჭადრაკი.** ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). **24 აპრილი.** ა. ბუსლაევ — რ. ჯინჯიხაშვილის მატჩი საქართველოს ჩემპიონის წოდებაზე. დასაწყისი 17 ს.

**ფეხბურთი.** სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასი. „დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (ქუთაისი). „ბურევესტნიკის“ სტადიონი. **25 აპრილი.** სათადარიგო შემადგენლობანი. დასაწყისი 17 ს. და 30 წ. „დინამოს“ სტადიონი. **26 აპრილი.** ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 18 ს.

ИНДЕКС 66418 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 უე 04929